

— ოჩი საათია ვრეკავ, მოლო რაოთნში ვი-
ძებთ, ამხანაგო მდივანო, ზიშველეთ, უქანიშნაგო დღე-
და მომიცდა ბრიგადა... ვეგმით დღეს ჩაის სხვლა იყო
გათვალისწინებული... ამინდი კი სიმინდის კვადრიატული კუ-
ბუდობრივი თეგვისოფისა ზედ გამოჭრავი... როგორიცაა
მოვიქცეთ?.. როგორ?!. ხელ რომ ღრუბლიანი დღე
გათენდეს... მაშინ?.. მაშინ პასუხისმგებელი ხომ მე არ
ვიქნები?

მომეცით სანქცია, დამიდასტურეთ...



ნამ. გ. მალაზონიაშვილი

60 5 6 8 0

უკინოსია მართის



ეროვნული ბიბლიოთი

პროფესორი გრამიტონ ქორიძე ბოტანიკურ ბალისაკენ მიე-
გართებოდა. იდგა თბილისური შემოდგომის სანეტარო დღე, რაც
ყოველთვის ხიბლავს და საოცრად აღავროთვანებს არა მარტო სტუმ-
რად მოსულ უცხოელს, არამედ თვით თბილისელებს. მშე უხვად
აფრევევდა ქალაქს აბრეშუმიით სხივებს. ქუჩების გასწროვ ჩარა-
ზმული ხეების შევეკითლებული ფოთლები რდნავ ციგლიგებდნენ.
ყოველი გამვლელის სიარულში გამოსცეონდა ის სიზანტე და მოთხე-
თილობა, რაც გამოწვეულია ასეთი საკურორტო ტარისით. ჰაერი
თბილი იყო როგორც საგანგებოდ შენელებული აბაზანა და ამიტომ
ყოველ ადამიანს, ვისაც კი სამასიო დრო ქვენდა, გული ბალებისა-
კენ ეწყოდა. ერთი სიტყვით, ისეთი დღე იყო, როდესაც გავიწყდება,
რომ ქვეყნად არსებობს სხვა რაიმე სიამონება, „გარდა მერჩე
ჯდომისა, როდესაც განაბული აღენებ თვალყურს ბუნების ამ დიად
გარინდებას.

ნარიყალის აღმართთან პროფესორი შეეტანა ახალგაზრდა მეც-
ნიერ ქალს თამარ ამილახარს, რომელსაც ჯერ კიდევ მოწაფეობის
ასაკიდან იცნობდა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო გრამიტონ, ამ შესანიშნავ
დღეს! — ლიმილით შეეგება ახალგაზრდა ქალი საკმაოდ კარგი
პროფესორს.

— გა-ზაფაშვილი ბოტანიკურ ბალში გასეირნება და ამ მომხიბ-
ლავ ამინდში ბუნებაში განმარტოება. აი, იქ, ჩანჩქერთან მიყვარს
ხოლმე ხევიანში ჯდომა. თუ დრო გაქს გავისეირნოთ ერთად.

მუსაიფით აიარეს აღმართი და ხრეშით დაფუნილ გზას
გაუყვნენ. ხეივანი თითქმის ცარიელი იყო და ადამიანის კაჭანება
არ ჩანდა.

— აჲ, რა შესანიშნავი რამეა ეს ბოტანიკური ბალი. — უთხრა
პროფესორმა თავისი თანამგზავრ ქალს, როდესაც ორთავენი ერთ
მიურუებულ კუთხეში დასასენებლად მერჩებ ჩამოსხდნენ. — ასლა ჩემ-
თვის სახესბით გასაგებია, თუ რატომ აირჩია პლატონმა ძველ საბერ-
ძნეთში ფილოსოფიურ მსჯელობისა და შთაგონებისათვის ათენის ა-
ლოს მდებარე ბალები. მართლაც და, მხოლოდ ასეთ მყუდროებაში და
ასეთ შშევერებაში შეიძლება ადამიანს დაგებაციის მაღალი აზრები
და გაგელვიძოს სამყაროს საიდუმლოებაში ჩახედვის სურვილი. აქ
ადამიანი თავისუჯლდები ყოველგვარ ქვენაგრძნობებისაგან და
რაღაც მიუწვდომელ ლვთავებრივ სამყაროში შედითარ. ახლა ჩემთვის
გასაგებია, თუ რატომ წარმოიშვა პლატონში ქლისადმი პლატონუ-
რი სიყვარული. არ შეიძლება, რომ ასეთ გარემოცვაში ადამიანის
სული არ განიბაროს და უმანკოების სხივით არ აელევრდეს.

— თქვენ მართალი ხართ, მაგრამ მე სულ მეშინია ქალაქგა-
რეთ ასეთ მიყრუებულ ბალებში გასეირნებისა. უცებ ხომ შეიძლე-
ბა წააწყდე ვინმე ხულიანს.

— როგორ? ნუთუ თქვენ აქ პირველად ხართ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, პირველად.

— მე კი აქ ხსირად დაგეტერალობ და მხოლოდ აქ ვპოვებ
ხოლმე სულიერ სიმშეიდეს. ხულიანებისა კი ნუ გედარდებათ. აქ
ისინი არასოდეს არ არიან და კიდევაც რომ იყვნენ, ნურაფრის
დარღი ნუ გენებათ. ჯერ ისე არ დაგებაბუნებულებარ, რომ მთარევ-
ლობა არ გაგიწიოთ. მერე ხედავთ, აი, იქ, ხეივის ბოლოში მიღლი-
ცილოს. ჩენს ქალაქის საბჭოს ეტყობა ყოველივე გაუთვალისწინებია
და ჩენისთანებისათვის სამძღოლ მცველი დაუყვნებია.

— ის მილიცელი რაღაც მეტისმეტად საეჭვოდ გვიცერის.

— საეჭვოდ! რატომ? — გაოცდა პროფესორი.

— მე ასე მგონია.

— არაფრია, თქვენ გეჩენებათ.

ზათ უდარდელად განაგრძეს საუბარი, მაგრამ ქალი ხანდახან
უნებურად ქურდულად იხედებოდა მილიცელისაკენ. ის კი გარინდუ-
ლი იდგა მექებრის იმ პოზაში, რასაც მონაცირენი ნაბულს უწოდებენ.
ამბერეკი ძებნიაშვილი, უბნის ბიქები ჩანგალ-ბეკოს რომ ეძ-
ხდნენ, ეკუთვნონდა აღამიანთა იმ მარაქას, რომელნიც გამორჩენის
მიზნით არიან შესულნი აეთ სამსახურში, ყველაფერს კადრულობენ
და სანამ არ გამოაპანორუებენ, ენერგიულად იყენებენ თავიანთ
ძალაუფლებას, რათა ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში სადმე რამე
აწანონ. ამბერეკი ყოველთვის ცდილობდა ისეთ აღგილებზე მიელო
მორიგეობა. სადაც მეტი სარფა ექნებოდა. ამიტომ მას ბაზრებზე
უფრო მიეხაროდა. როდესაც ბოტანიკურ ბალში მოუხდა რამდენ-
ჯერმე სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულება, აღმოჩნდა, რომ,
თურმე, აქაც შესაძლებელი იყო საქმაოდ იმბონიანად ნაღირობა. ის
საგანგებოდ უთვალთვად ხეივის მოსერინე წყვილებს. საქმა-
რისი იყო რომელიმე წყვილი გამარტოებით შეემჩნია მერჩე ან

მოლზე დამჯდარი, რომ იმწამსვე ქორივით დააცნონებოდა და ასევე
და როგორც საზოგადოებრივი მორალის შემლახველთ, მაშინვე
წაუყენებდა ულტიმატუმს: დაუყოვნებლივ გაპყოლოდნენ მილი-
ციაში. ამბერეკი ისე იყო დაგრძილი ამ საქმეში, რომ სულ
შედამ ერთდამავე შედეგს აღწევდა. უდანაშაულოდ დამანაშა-
ვენი კარგა ხნის ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც კი მოპერატორენ
უკას თითქმი შემთხვევით წამოცდენილ სიტყვას „ჯარიმას“, მაშინვე
შეებით მოითქვამდნენ სულს, და თუ ჯიბეზე მწყრალად არ
აკაცნენ, თავს ადვილად იხსნიდნენ.

ამბერეკი ერთი შეხედვით ატყობდა რა სახის მსხვერპლთან
ჰქონდა საქმე და ვისან რა გმოდნებოდა, ვისთან გაუვილოდა
აგრესიული შეტევა და ვისთან არა. ამიტომ ბშირად სწორედ
საეჭვო წყვილს გულგრილად გვერდს აუვლიდ, თუნდაც ნამდვილ
ბოროტმოქმედების ჩადგნაზე წაესწორ. სამაგიროდ, უმეტეს შემ-
თხვევაში, ისეთ უმანერ არსებებს მოსდებდა შარს, რომელთაგანაც
საქმიანდ მოსზრილი თანხის წაგლევას გამოელოდა.

დღეს ის ცოტა ხსიათზე ვერ იყო. დილას განყოფილებაში რომ
გამოცხადდა, სამსახურიდან მოხსნის ბრძანება მიაგებეს და მოთხოვეს
დაუყოვნებლივ ჩაებარებინა სახაზინო ქონება: იარალი და ფორმის
ტანსაცმელი. იარალი იქვე ჩაპარა, ხოლო ტანსაცმლის გამო-
ცხადებად შინის გაემართა, მაგრამ არაყის გადაკერის გულგრიზე
დადგა და რაღვან ჯიბეზი აბაზიანიც კი არ ეგულებოდა, გადაწყვი-
ტა გზად ერთხელ კიდევ წაენადირებინა, — დილიდანვე ბალში გაჩნდა.
ბილიკები ერთი ათჯერ დაიარა. აგრე ნაშაულებულს მოელწია
და ერთ წყვილსაც კი ვერსად ვერ წააწყდა. ის იყო გა-
დაწყვიტა კიდევ არაფერი გამოვაო, რომ ამ დროს თვალი
მოკრა ჩენს გმირებს, მაშინვე მეძებარივით გაინაბა და დაუინე-
ბით დაუწყო ორთავეს თვალთვალი. ის სრული დარწმუნებული
იყო, რომ ეს წყვილი მართლა საეჭვო განზრახვით იყო მოსუ-
ლი ბალში ამ თბილსა და სანეტარო დღეს და ამიტომ მოთმი-
ნებით დაუწყო ლოდინი მოვლენათა განვითარებას.

კარგა ხანს უკირა, მაგრამ არავითარი მოელენა არ განი-
თარდა. უცნობი მამაკაცი და ქალი მშეგიდად განაგრძობდნენ საუ-
ბარს და ეტყობოდა ასევე მშვიდად დამთავრდებოდა მათი სტუ-
მობა ამ ბალში. ამიტომ ამბერეკი გადაწყვიტა დაუყოვნებლივ
მიეტანა იერიში და ფეხავერი ეფილი გამოვაო, სანეტარო დაუინებით
განვითარებას და სანეტარო დართა არავითარი მათ განვითარებას.

ლაპარაკის ეშხში შესული გრამიტონი კი გულდამშვიდებით
განაგრძობდა საუბარს ახალგაზრდა ქალთან და სრულიად ვერ
გრძნობდა, თუ რა ვერაგი მტერი უახლოედებოდა.

— არა, მე აღტაცებული ვარ პლატონის შეტევლულებით ქალებზე.
— განაგრძობდა გრამიტონი, — ის ქალში ზეციურ არსებას ხედავს.
თქვენ წარმოიდგინეთ, მე სრულიად არ ვიზიარებ პლატონის იძიებ-
ტურ იდეალიზმს, მე უფრო დემოკრიტეს მატერიალისტურ მსოფლ-
მხედველობას ვცე პატივს. პლატონის იდეათა სამყარო არაფრით
არ განსხვადება რელიგიურ მისტიკიზმი, მაგრამ პლატონის
ესთეტიკურ დამიკიდებულებას ქალისადმი, მეს მიერ ქალის არსე-
ბის იღებალიცას თავავას ვცემ...

პროფესორმა უნებურად შეწყვიტა ლაპარაკი და გაოცებით
ახედა მილიცელს, რომელიც მათ მიუახლოებდა, ფეხი ფეხს ხმაურით
მიადგა, საფეხებრეზე ხელი მიიღოდ და ისეთი ბრძანების კილოთი,
რაც სიტყვის შებრუნების უფლებას არ აძლევდა, უთხრა:

— მომეცით თქვენი პასპორტი!

— რა გნებავთ? — გაოცებით პასპორტი.

— თქვენი დოკუმენტი!

— თქვენ რა, მე ავაზაე ხომ არ გვონივართ. — ოდნავი ლიმი-
ლით, რომელშიაც თავისებრური დაცინვა თუ ირონია გამოკრითლა,
შეეცითხა გრამიტონი.

— ძალიან კარგად გხედავთ ვინც ბრძანდებით. — წარბშეცერით
უთხრა ამბერეკი, პასპორტი ხელიდან გამოგლობია და გაშალა. მან
კარგა ხანს გულდამშით უკირავრა პასპორტის, ხან თავში, ხან ბო-
ლოში, თან გზადაგზა ცდილობდა ამოკითხულ სახელითა და გვარით
მოეცინებია ვინმე პატივს. პლატონის მისტიკიზმი, მაგრამ პლატონის
ესთეტიკურ დამიკიდებულებას ქალისადმი, მეს მიერ ქალის არსე-
ბის იღებალიცას თავავას ვცემ...


— მე... მე უნივერსიტეტის პროფესორი ვარ.

— პროფესორი! — თავისუფლად ამოისუნთქა ამბერეკი. — მერე
და, არ გრცხვენიათ, ამ ხნის კაცი, პროფესორი და ასეთ საქმეს
კადრულობოთ?

— რა საქმეს? — გულწრფელი გაოცებით წამოიძახა ორთავემ.

— რა საქმეს! — გააჯარი მოვალეობით გამოვალებას. — ბევრი კა-
კობავ წარმოიძანდით მილიცელიაშ!

— რისთვის? — წამოლება ზეზე პროფესორი, — აქ განა აკრა-
ლულია სეირნობა?



ქარისულავია ღა ღიუსიშა იგავი

ერთმა ქარიყდაპიამ,
უგულომ ღა ავყიამ,
პანანინა ღიფუსიტა
ღაიჭირა უეცრად.
ეცოტავა ნაღავი,
შეესიტყვა უმეცრად:

— ღიღი ვერ გაიზარე,
რად იჟექი უქმადა,
აბა, ასე პატარა
არ მეყოფი ღუკმადაც.

პანანინა ღიფუსიტა
შეეღავა მამაცად:
— ღიღი ღუკმა თუ გინძა,
გაზრდა მაინც ღამაცა!

შეღავა კახიდა



ი ღ ს თ

- 3 მ ზ ნ ი

ერევანში გამოვიდა ხომშური ხადირულ-იუმორისტული იჩენირეული შურნალი „ვოზნი“ (ზღარბი).

„ნიანგი“ მშერვალედ მიეხალმება ახალგაზრდა თანა-მებრძოლს და შემოქმედებითი წარჩატებებს უხურვებს ზას.

ჩაწერათ მათი შისამართები, როგორ უნდა გახმაურებულიყო შთელ ქალეჭში ეს პიკანტური ამბავი და შეიძლება თამარის ექვინი ქმრის ყურამდეც კი მიეღწია, ორთავეს სიმრის ოფლმა დაასხა.

პროფესორი ახლა მართლაც მზად იყო გადაეხადა ჯარიმა, მაგრამ ჯიბეში შემთხვევით უკი თუ ოცდახუთი მანეთის მეტი არ ჰქონდა, მილიციელი კი ასი მანეთის გადახდას თხოვლობდა, ამიტომ იძულებული გახდა კონტრშეტევაზე გადასულიყო:

— თქვენ, თუ შეიძლებოდეს, ნუ აძლევთ თქვენ თავს უულებას და ნუ ქმნით ინსინუაციას.

— მოქალაქევ, თუ შეიძლებოდეს ნუ იგინებით! — ხარივით გადმოქახა თვალები ამბერებმ. მას არ ესმიდა სიტყვა ინსინუაცია. — კეთილინებეთ და დაემორჩილეთ აღმინისტრაციის წარმომადგენელს.

თამარმა გახსნა საფულე და დაუშუო ძებნა ფულს.

— იცით რა, — წაულაპარაკა მან თავის თანამგზავრს, — მე მაქეს ქვინი ასი მანეთი.

გართლაც მან ამოკითა დაჭმული ფულები, გადათვალა და გრამიტონს გაუშოდა.

— აი, მიეცით და წავიდეს.

— ამ, რა ბედნიერებაა, რომ ოქვენ მაინც აღმოგანიდათ ფული. მე ამას, გზათ რომ გავივლი, დაგიბრუნებთ, — უთხრა გრამი. ტრინმა ახალგაზრდა ქალს, ფული გმოართვა და მილიციელს გაუწიდა, — აი, წაილეთ და წადით.

ამბერები ფული გამოართვა, უსირცხვილოდ იკრა ჯიბეში და, ალბათ, რომ ოდნავ მაინც შეემსუბურებინა მათვის ამ თავისებური ხარჯის გადახდის სიმძიმე, საფუთქელთან ხელი მიიღო და რაც შეეძლო ზრდილობინი კილოთი ჩაილაპარაკა:

— მე ჩემი მოვალეობა მოხდილი მაქეს... რა ვწათ, ასეთია დავალება... თქვენ კი... რაც გენებით ის მოიმოქმედეთ, მხოლოდ აქ არა, არ, ძებით, იქ უფრო მოსახერხებელი აღვილია...

მიბრუნდა და ათრეული ნაბიჯებით წავიდა.

ჩვენი გმირები კი კარგა ხანს ისხლენ სიბრაზისაგან ყბებშეკრულნი და ისე მოეწამლათ ხასიათი, რომ აღარც ჩიტების ჭავიკი ახდენდა მათხე ზეგავლენას, აღარც ფოთლების წარმტაცი ზრდილი და აღარც ის ზეიადი სიდიდე შემოდგომის მზიანი დღისა, რომ და აღარც ის ზეიადი სიდიდე შემოდგომის მზიანი დღისა, რომ და ასე მოხიბულნი იყენენ ისინი სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთის ჭინად.

— რისთვის? ვითომ არ დეით რისთვის. აქ რომ არ წამოგეყვანა ქალი, სხვაგან ადგილი ველარ იშოვე! პრა-ფე-სორი ვარო იძანი. — საყვედურის ნიშნად გადაძნია თავი ამბერები.

— კაც, შენ ხომ არ გაგიდი! — სიბრაზისა და შეურაცხოფისაგან მთლად გაფიტორდა გრამიტონი და უმიზნოდ დაიწყო ჯიბებში ხელების ფათური, თითქოს იქიდან რაიმე ახალი საბუთი უნდა ამოვლო.

— ღმერთო ჩემო, ეს რა საშინელება! — აღელდა ქალიც.

— თქვენ გაჩუმდით, თორემ საზოგადოებრივ ადგილზე გარუნილებისათვის...

— ღვთის გულისათვის წავიდეთ აქედან, — გამოსდომ შელა ხელი ასეთ სიტყვებით თავზარდაცემულმა ქალმა თავის თანამგზავრს და წასასელელად გაიშია, — ეს რა საშინელება!

— ფრესადაც ვერ წახვალო.

— კაც, რისთვის უნდა წამოგეყვეთ მილიციაში? — შეეკითხა ახლა მართლა შემერთალი პროფესორი.

— საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის. თანამადშორმებრითა დეპუტატთა საბჭოს დადგნილებისა ზა ნომერომ ტრისტა პიტნაცატ დრობ ჩეტირნაცატ... იქ გაარკვევენ თვევნეს საქციელს და თქვენს ვინაობას...

— კარგი ერთი, მიედ-მოედები რაღაცას.

— მოქალაქევ! — აუწია ხმას ამბერები და კიდევ მიიღო საფერქელზე ხელი. — ან წამოდით მილიციაში, ან გადაიხდეთ ჯარიმა ასი მანეთი.

— კაც, იქნებ არა მაქეს ფული, რას გადამეკიდე. — წყალწალებულით მოეჭიდა ხასიათ გრამიტონი.

— მაშინ წამობრძანდით მილიციაში.

— კარგი, წამოვალ. თამარ, თქვენ შინ წაბრძანდით და მე...

— არა, ეგეც უნდა წამოვიდეს. — გადაქრიით განაცხადა ამ ბერები და ქალს გზა გადაუქრია. იცოდა რომ ეს იყო ყველაზე უტყუარი საშუალება, რომლის შემდევ მოწინააღმდევე საბოლოოდ ურიდა ფარხმალს და კონტრიბუციის გადახდის თადარიგს უნდა შედგო-მოდა.

და აი, როდესაც ორთავეს თვალწინ წარმოუდგათ ქუჩაში მი-ლიციელის თანხლებით როგორ უნდა მისულიყენენ მილიციაში, მორიგესათვის ეძლიათ ახსნა-განმარტება და ემართლებინათ თავი ასეთი უმსგავსო ბრალდებისაგან, როგორ უნდა შეედგინათ თქმი,



ნიუზელ - საკუთარი ხელ

კურტურა სეზონი ბით


— ახლა რას აპირებთ, იყობი? გა-
ნათხული ხომ მოვიდა, ელექტროსინათ-
ლებზე და რადიოქსელის გასწორებაზე
არ ფიქრობთ?

— რა დროს გასწორებაა, ხალხო,
ჯერ ხომ მოაგარაკები არ ჩამოსუ-
ლა?

— განა მარტო მოაგარაკებს სჭირ-
დებათ ეგ სიკეთო, ჩვენ გვაწყების?

— კი არ გაწყებთ, მაგრამა თქვენ
შინაურები ხართ — მოითმენთ, ისინი კი,
ხომ იცით, სტუმრები არიან, გაზეობ-
ში წერა იციან.

მსგავს დიალოგებს ხშირად გაიგო-
ნებთ ქვიშეთში. კოლმეურნეობის თავ-
შედომარე გვიმტეიცებს — „შინაურებს“
კულტურული მომსახურება არ გვი-



რიათ, „სტუმრებისათვის“ კი იძულებუ-
ლი ვარ ვიზრუნო, რადგან მათ გაზე-
თებში წერა იციან.

გვიცოცხლოს მოაგარაკენი! ნეტავი
მათ მუდმივად დარჩენა შეეძლოთ ქვი-
შეთში, მაშინ ასეთი ელემენტარული
კულტურა ჩვენც ხომ ყოველთვის თავზე
საყრელი გვექნებოდა და არა სეზო-
ნობით?

თოში იდა

შებორტებებს კი ვერაფერი გაგვიგინი

ჩვენს სოფელს უებოტა ჰქვიან. ბედს
იგი თანახოთის რაიონში მოუქცევია და
ისიც ზედ „დაუნათლებია“ — კლუბიც
გქონდეს, კინოც გქონდეს და მათი გა-
მოყენების სურვილიცა.

აქურებს „ბედის“ ეს სურვილი დი-
დი ხანია შესრულებული გვაქვს, მაგრამ
ჩვენი კლუბისა და კინოს მუშავებს არ
გააჩინათ ჩვენი სამართლიანი სურვი-
ლის შესრულების სურვილი. წლობით
თუ არა, კვარტალობით მაინც გვაცდე-
ვინდენ, რომ ერთი სალამო, კონცერტი,
ან კინოსურათი „მოვალანდონ“.

ნეტავი გაჩვენათ მაშინ ჩვენი სიხა-
რული, მაგრამ ნეუ მოგახილათ ის უსია-
მოვნება, რითაც იგი შეუდამ მთავრდება;
განსაკუთრებით კი — ჩვენს კინში.

— არიქა, კინოსურათი გველირ-
საო! — გაფარდება ხოლმე ხმა უებოტაში,
ხალხი თავს მოიყრის, ბილეთებს შეიძენს,
ადგილებს დაიკავებს და... უცდის, უცდის
იობის მოთმინებით. დაიწყება — გაწყდება,
აინთება — ჩაქრება, ამოიხმაურებს — ჩაი-

ხრინშება, დადუმდება, ან რაღაცნაი-
რად აშიშინდება და ამ ორომტრიალში
ეკრანი იმდენს იცეკვებს, იმდენს იტრია-
ლებს, სანამ შუა სეანსში თვალებს არ
აგვიჭრელებს.

— გაგრძელება ხეალ იქნებაო, — გა-
მოგვიცხადები.



ასე გვიყვეს ამას წინათაც: მოგვიტა-
ნეს სურათი „ალბანეთის სახალხო გმი-
რი სეანდერბეგი“. განშეორდა ზემოალ-
წერილი, გვტანჯეს, დაგვექნცეს და სუ-
რათის ერთი სეანსი სამ დღეს აწვალეს
ისე, რომ შინაარსიც კი ვერ გავიგოთ.

— ეს აპარატების დაგველების ბრა-
ლიაო, — გვეუბნებინ კინოში.

— არა, ეს აპარატების გვერდით
ჩამწკრივებული იმ შეჩერებული ლეინო-
არაყის ბოთლების ბრალიაო, — დასქენენ
სხვები. — მოდი და გარე, ნინგო!

ეებორტელებს კი ვერაფერი გაგვი-
გია და!

3. უაზოთა უმილი

საგარეჭოში, საჩაც ავტობუსი ჩერება

წვიმს. გაბმით და უუეუნით „ებაასე-
ბა“ ლრუბლიანი ცა საგარეჭოს. იქვე,
ყრუ ზევში, „თვალთა ხეს“ რომ უძა-
ხიან გარეჯელები, ნილვარს თიხის ტალ-
ები მოაქვს. ხევისპირას „ავტოსალ-
გურია“. არ გაგვიწინოთ, აქ სამკადრა-
ტულმეტრიანი ფიცრის ყუთი რომ დგას
— მას „ავტოსალგური“ შეარქებს.

აქ ჩერდება მოსული და წამსვლელი
ავტომუსი. აქ იყრიან თავს მგზავრები,
აქვე სეველდებიან და აწარმოებენ ნერ-



ვების გამოცდას, აქვე ისმის „ტკბილი“
მუსაიფა:

— ქალო, ცოდვა არ არის ეგ ჩეილი
ბავშვი რომ სველდება? სცივა საწყალს,
მთლად გალურჯებულა.

— დასველდეს და ნულარ გაშრეს,

ვინც ჩვენს ცოდვაში ჩადგა, — მიუგებს
გამწარებული დედა.

იგი გაუშრობელ დასველებას უსურ-
ვებს ავტოტრანსპორტის სამინისტროს იმ
მუშაქებს, რომელიც დიდი ხანია, რაც
გვპირდებიან საავტობუსო სადგურის
მოწყობის და პონიათ, რომ მხოლოდ
ქალალდებით გამოგზავნილი დაპირება
დაგვიცავს წვიმისა და სიცივისაგან.


მაგრამ აღნიშნული მუშაქები არც
სველდებიან და არც შრებიან მგზავრე-
ბის ცოდვით. დაპირებების შეუსრულებ-
ლობით კი ჩვენ გვტოვებენ შერალზე.

8. კაპუნაში

ძროხებები რომ ენა ამოიღგან

— ერთი წუთით წარმოვიდგინოთ,
რომ სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის
ფერმის ძროხებმა ენა ამოიღგას, რას
იზამდნენ?

— უპირველეს ყოვლისა, წყევლა-
კრულებას შეუთვლიდნენ ველისციხის
მტს-ის ზონის მთავარ ვეტექიმს ვანო
კობიაშვილს.



— მეტი არაფერი?

— როგორ არა, ისინი საჩივარს
დასწრებინენ და შიგ აღნიშნუვდნენ კო-
ბიაშვილის უდარდელობას, ბოუროკა-
ტულბას, მოვალეობის შესრულების საქ-
მეში უპასეხისმგებლობას...

რატომაო, დაინტერესდება სოფლის
მეურნეობის სამინისტროს მეცხოველე-
ობის სამმართველო.

ეს ჩვენც ვიკითხეთ და გამოირკვა,
რომ კობიაშვილს, რომელსაც მუშაობის
პირობებიც კარგი აქვს და ტრანსპორ-
ტიც მშენიერი გააჩინა, ეზარება ძრო-
ზე მიეშველოს ფერმებში დაავადებულ
საქონელს. ეს საკუთარ ზურგზე გა-
მოსცადეს ჩუმლაყის საკოლმეურნეო
ფერმის მუშაქებმა, რომელთაც ვერ იქნა
და თვავანთ ფერმებში ვერ „შეიტყუს“
ვანო კობიაშვილი.

რა მოჰყავა ამას შედეგად?

ვფიქრობთ, რომ მეცხოველობის სამ-
მართველოში არ გაუხარდებათ ეს შე-
დეგი.

რეანელი

ნაზრევ-ნაგვისები გაფრთხილება

გავლილ, 1954 წლის ცხრა აპრილს, დაბამოვნებით დილის 10 საათზე, კინოთეატრ „რუსთაველში“ წერილების დამტარებელი შემოგვაგმანდა. მან კონვერტი მიაწოდა კინოთეატრის თანამშრომელს მ. ბადალოვას და თან პირობა მიაყოლა:

- ფასს გადიხდი, წერილს მიიღებ.
- აბა, ეგლა მაკლია, ვიღაცის წერილებში ფული ვიხადო!

— წერილი რუხაძის სახელზეა. ვინ არის რუხაძე? — რუხაძის სახელზე? — მ. ბადალოვაზე, რომელიც პირფერობაში ცნობილი არ არის, დირექტორის გვარის გავონებამ ასე თუ ისე იმოქმედა და სწრაფად წაილო ხელი ჯიბისაკენ.

ერთი საათის შემდეგ ბარათი ადრესატმა ჩაიმარა. ბარათი ოუწყებოდა:

„ა/ჭლის 27 ივლისს დილის 10 საათზე კინოფიკაციის სამმართველოში მოწვეულია ქალაქ თბილისის კინოთეატრების დირექტორების თათბირი.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისის კინოთეატრებში კინომომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. გთხოვთ დაესწროთ“.

მომართველის თან მოჰყვა კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის ხელმოწერა და კინოთეატრ „რუსთაველის დირექტორის ამს: შ. რუხაძის გაკეთევება:

— ეს როგორ, ოცდაშედე ივლისს თათბირია მოწვეული და სამი თვით ადრე, ცხრა აპრილს შემატყობინეს? ყოჩალია ჩვენი სამმართველოს უფროსი, ყოჩალი, წინდაწინ დებულობს ზომებს!

მაგრამ ამ ფიქრებიდან მაღლ გამოერკვა ამს. შ. რუხაძე, მომართველის ქუთხეში შრამპი ჰქონდა დარღუმული და ამ შრამპიდან თარიღი ყვიროდა:


„25 ივლისი, 1953 წ.“

კინოთეატრის დირექტორის ეს უცნაური გზავნილება უცბად ხუმრობად მოეჩვნა, ბაგრაძ შემდეგ კარგანის ფიქრი დასჭირდა იმის დასადგენად, რომ ეს შემთხვევა მართლაც ფოსტის ხუმრობა რყო, იმ ფოსტისა, რომელმაც თბილისიდან თბილისში, ერთი ქუჩიდან შეორენებები გაგზავნილი ბარათი ცხრა თვის შემდეგ მიიტანა ადრესატთან.

კარზელად გამოსილი




ნახ. გ. უირცხალა-ვაკა



— თქვენ ბრძანებთ, ჩომ ინსტიტუტი დაამოიგრეთ, უქიმი ბრძანდებთ, კეთილი და პატოხებანი. აა, ხაგური, ჩიაშურეთ ბორჯომის რაიონს, იქ დიდი ბრძენება გეექნებათ...

— ჩაო, ჩახ აშბობო, გენაცვალეთ, ხარავონს ზე ჩა ჩივებები!



რედაქტორი კ ბ რ ლ მ კ ა ლ ა მ ვ . სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ა. ქ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Ниага“. Редакция: რუსთაველის პრაზ. № 48. ფრთ. 2-10-43.

გამოც. № 9, ხელმოწ. დასაბ. 14/V-1954 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/2, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. „სარია კომსომოსის“ სტამბა, რუსთაველის პრაზ. № 42. ფევ. № 1246 ფუ 04145 ტიპ. 20.000

ამერიკულ ძაბ არ სურს ბეცი თვალის შეხვენება
და აზია საჩარჩაზნე ხორცად ახე ეჩვენება.

